



მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზოთი №16(54) 2013 წ. 16-31 აბსოლუტო ფასი 50 თეთრი

საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სესიის

23 აგვისტოს საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ზინაიძემ...

სხდომის დღის წესრიგის ნომერ პირველ საკითხზე საგარეო მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ...

საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ცვლილება შევიდა საგარეო მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში...



მოსამსახურეთა ხელფასის ფონდის ზრდა 6,7 ათ. ლარით; მიწისფლობის ხარჯები გაიზარდა 0,5 ათ. ლარით; ოფისის ხარჯები (საფოსტო მომსახურებისათვის) 2,1 ათ. ლარით (0,1 ათ. ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგეობა 2,0 ათ. ლარი); სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი გაიზარდა აუდიტის მომსახურებისათვის გათვალისწინებული 10,0 ათ. ლარით.

მთავრობის 2013 წლის 17 მაისის №466 განკარგულებაში მოხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე - გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები გაიზარდა 368,0 ათ. ლარით...

ცვლილებების შეტანის თაობაზე მოხსენება გააკეთა საგარეო მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსმა...

შესყიდვის გეგმა გაიზარდა 2 217 730 ლარით. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 აგვისტოს №1085 განკარგულებით 22 აგვისტოს №1055 განკარგულებით დაფინანსდა საგარეო მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმის წყალსადენის ცენტრალური მაგისტრალის დაზიანებული მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები 107135 ლარით (CPV45300000) და სოფელ გიორგიშენიდან-ანთოკი-მარიაშენის დაზიანებული ხიდის მოწყობის სამუშაოები -350045 ლარით (CPV45200000)...

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს №1063 განკარგულებით ცვლილებები განხორციელდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებაში და შესაბამისად უნდა განხორციელდეს ცვლილებები სახელმწიფო შესყიდვების კლასიფიკაციის კოდექსის შორის: CPV45100000 -სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები-137859ლარი; CPV45200000- სამუშაოები მთლიანი და ნაწილობრივი მშენებლობისათვის და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები -535116 ლარი; CPV45300000-სარემონტო-სამონტაჟო სამუშაოები-279991 ლარი; CPV45400000-შენობის დასრულების სამუშაოები-14871 ლარი; CPV44600000-აგზები, რეზერვუარები და კონტეინერები; ცენტრალური გათბობის რადიატორები და ბოილერები- 11875ლარი; CPV44200000-სტრუქტურული მასალები-2378ლარი; CPV44100000- სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები - 2000ლარი.

საბარეჯოს მუნიციპალიტეტი ცენტრალური ორბანო უჯარმა

უჯარმის თემის შემადგენლობაშია:
 უჯარმა
 პაღლო
 მუხროვანი
 თემის მიწის მთლიანი ფართობია 1452,8ჰა
 აქედან: უჯარმა – 1176,3ჰა
 პაღლო – 40,5 ჰა
 მუხროვანი – 236,5 ჰა
 თემში საკარმიდამო სულ – 217,9ჰა
 აქედან:
 უჯარმა – 201,9ჰა
 პაღლო – 11,8 ჰა
 მუხროვანი – 4,9 ჰა
 მთლიანი სახნავი ფართობია – 135,8 ჰა
 აქედან:
 უჯარმა – 120,6ჰა
 პაღლო – 15,2 ჰა
 უჯარმის საძოვარს 6,2 ჰა უკავია



ვაშაკიძე, ვაწაძე, ილერიძე, კიბაბიძე, მათიაშვილი, მამამთავრიშვილი, მანაგაძე, მინასოვი, ნავროზაშვილი, ჟამინაშვილი, სამხარაძე, სუხიშვილი, ფეიქრიშვილი, დოდელიანი, შავერდაშვილი, შინდელიაშვილი, ნხეიძე, ხეიძე, ხარაზიშვილი, ჯულუხიძე, მელიაშვილი, ხინგაშვილი, ფასუხოვი, ბოლოთაშვილი, მუზაშვილი, წიკლაური, ნათობაიძე, ჯინჯარაძე, ქავთარაძე, ქვეციშვილი...



ტ ბ ო რ ი
 12 ჰა-ზეა გაშენებული. სოფლის მუდმივი მოსახლეობა – 393 კაცი
 აქედან: უჯარმა – 377 კაცი
 პაღლო – 10 კაცი
 მუხროვანი



ვაჟა ჯავახიშვილი

ვეფხია დიდმელაშვილი
 6 კაცი
 სოფელთან კავშირგაწვევით – 239 კაცი

აქედან:
 უჯარმა – 169 კაცი
 პაღლო – 30 კაცი
 მუხროვანი – 41 კაცი.
 თემში 153

მუდმივი კომლია
 აქედან:
 უჯარმა – 143 კომლი
 პაღლო – 6 კომლი
 მუხროვანი – 4 კომლი
 კ ა ვ შ ი რ - გაწვევითი კომლია – 239



უჯარმის ციხე

აქედან:
 უჯარმა – 168
 პაღლო – 30
 მუხროვანი – 41
 სოფელში გავრცელებული გვარებია: სონიძე, რევაზიშვილი, დათუნაშვილი, ანტონაშვილი, ბებელაშვილი, დიდმელაშვილი, დურგლიშვილი, დოდონაძე, ჯავახიშვილი,

თემის დეპუტატია მუნიციპალიტეტის საკრებულოში ვაჟა ჯავახიშვილი, რომელიც საკრებულოს II მოწვევის დეპუტატია და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა. ადრე წლების განმავლობაში მუშაობდა კოჭბანის სოფლის გამგებლად.

ტერიტორიული ორგანოს შენობა აშენებულია გასული საუკუნის 70-იან წლებში-საჭიროებს კაპიტალურ რემონტს. შენობა არის ორსართულიანი – სახურავი და-ზიანებულია და ჩაედინება წყალი. შენობის პირველ სართულზე ორ ოთახში განთავსებულია სამედიცინო ამბულატორია, (ექიმი მარინა წოწკოლაური) ერთ ოთახში „ლიბერთი ბანკისა“ და ელ.ქსელების მოლარე – მეორე სართულზე – ერთ ოთახში განთავსებულია ბიბლიოთეკა.

სოფლის ბიბლიოთეკა აშკამად არ ფუნქციონირებს. მისი წიგნადი ფონდია 9804. სასოფლო კლუბის შენობა გადაცემულია საქართველოს ეკონომიკის სამინისტროზე. კლუბის ფართობის დაკეტილი, რომელიც საჭიროებს რემონტს. მოსახლეობას დაურიგდა სასოფლო-სამეურნეო ბარათები
 კომბინირებული – 346 ოჯახს;
 ნომინალური – 476 ოჯახს.

56-მა ოჯახმა ვერ მიიღო სასოფლო-სამეურნეო ბარათი.
 სიღარიბის ზღვარს მიღმა (სოციალურად დაუცველთა) პროგრამაში ჩართულია 36 ოჯახი.

პრიორიტეტი:
 სოფელს ესაჭიროება სასმელი წყლის ცენტრალური მიღების რეაბილიტაცია, ინტერნეტი და სატელეფონო ანბა. წელს სოფლის მხარდაჭერის პროექტით უნდა განხორციელდეს „კვირაცხოვლის“ ეკლესიის ახალი სკვერის მოწყობა.

ბოლო დროს სოფელ უჯარმაში შემოიღობა სოფლის სასაფლაო და მოხრეშა სასაფლაოზე მისასვლელი გზა, მოწვეო სკოლის სადრენაჟო სისტემა და შეიცვალა სახურავი, აშენდა საბავშვო ბაღი, გაკეთდა სტადიონი. მუხროვანში მოწესრიგდა სასმელი წყლის გაყვანილობა და მოხრეშა შიდასასოფლო მნიშვნელობის გზა.

პაღლოში შემოიღობა არხი და გაკეთდა (მოხრეშა) შიდასასოფლო გზა, გაკეთდა სასმელი წყლის სათავე, შერემონტდა სასმელი წყლის გაყვანილობა.

სოფელში ისტორიული ძეგლებიდან აღსანიშნავია ჯვარპატიოსნის ციხე-სიმაგრე. სოფელში მოქმედია წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. სოფელში არის კვირაცხოვლის სახელობის ეკლესია, წმინდა რაფაელის სახელობის და საგვარეულო ეკლესიები – ავალიანთი, დათუნაშვილების, აბელაშვილების, ნინიკლაშვილების, დურგლიშვილების, გოხის ორი ეკლესია, პაღლოს მინდერებში – ველის ეკლესია, მუხროვანთან – უდაბნოსი.

უჯარმის საჯარო სკოლის მენეჯერია ნინო დათუნაშვილი
 შენობა დამაკმაყოფილებელ მდგო-



ჯვარპატიოსანი

მარეობაშია, რომელიც აშენდა 1977 წელს, ორსართულიანია. სკოლაში 10 საკლასო ოთახია. ასევე არის ფიზიკის, ქიმიის და საინფორმაციო ტექნოლოგიების კაბინეტ-ლაბორატორიები. სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი. 52 მოსწავლის აღზრდა-განათლებას 12 პედაგოგი ემსახურება. სკოლას ახალი სასწავ-

ლო წლიდან 5 პირველკლასელი ეყოლება. სკოლის წიგნად ფონდში 1752 წიგნია, რომლის ბიბლიოთეკარია ეკა კიბაბიძე. უჯარმის საბავშვო ბაღი მოთავსებულია ტიპურ შენობაში და დაკომპლექტებულია ერთ ჯგუფზე, 25 აღსაზრდელით. სიის მიხედვით ირიცხება 23 ბავშვი. შენობა შედგება ორი დიდი ოთახის, სამზარეულო და პირსაბანი ოთახებისა და სხვა პატარა სათავსოებისგან. მოითხოვს კაპიტალურ შეკეთებას, რასაც მოითხოვდნენ ახალი შენობის ნაცვლად.



ნინო დათუნაშვილი

ახალი შენობა-ნაგებობის (2012 წლის აგვისტოში აშენდა) მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა მოუხერხებელია. შენობის ზომები ვერ აკმაყოფილებს მსგავსი ტიპის დაწესებულების მოთხოვნებს. შედგება ერთი მოზრდილი და მეორე პატარა ოთახისაგან. შენობა მიწის

პირსა და წვიმის დროს სინესტეს იღებს. მოუწესრიგებელია კანალიზაცია. სამზარეულოდან და საპირფარეშოდან გამომავალი წყალი ჩაედინება ორბანოში, მაგრამ იგი წყალს ვერ იტევს და უკან ბრუნდება; იტბორება ეზოც, რაც იწვევს სანიტარულ პრობლემებს და დარღვევას არის მიზეზი ახალ შენობაში გადასვლად.



მანანა აბურჯანია

საბავშვო ბაღს აქვს საკმაო ფართობის ეზო-გარემო, რომელიც დაუცველი და მოუწესრიგებელია. ეზო შემოღობილია მავთულის ბადით, რომელიც დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას. არ არის ეზოს სათამაშო დანადგარები, შესაცვლელია ჭიშკარიც.

საბავშვო ბაღს ემსახურება 4 თანამშრომელი. მენეჯერია მანანა აბურჯანია, აღმზრდელი – მანანა სონიძე, მზარეული – ირმა სონიძე, ძიძა ირინე ჭუმბურიძე.

ინფრასტრუქტურა „სოფლის განვითარების“ პროგრამის განხორციელება დაიწყო

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე წელს „სოფლის განვითარების“ პროგრამით გათვალისწინებული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ 996957 ლარი გამოყო. ამ პროექტების ერთი ნაწილის რეალური ხორცშესხმა უკვე დაიწყო, ზოგი დასასრულს უახლოვდება. გომბორში აღნიშნული პროგრამის მიხედვით სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობაა გათვალისწინებული, რომლის სამშენებლო სამუშაოებს ინდემწარმე „იაგო ღრუბელაშვილი“ ასრულებს (პროექტის ღირებულებაა 2966,84 ლარი). ვერონაში სარიტუალო დარბაზის კეთილმოწყობისა და სარეაბილიტაციო

სამუშაოებს იგივე ინდემწარმე ასრულებს (პროექტის ღირებულებაა 5538,43 ლარი). ნინოწმინდის საბავშვო ბაგა-ბაღის სველი წერტილების მოწყობას შპს „ბურჯი-2008“ (სანდრო ყაჯრიშვილი) აწარმოებს (პროექტის ღირებულებაა 14843, 45 ლარი). წყაროსთავში ორი უბნის დამაკავშირებელ საფეხმავლო ხიდის მოწყობის სამუშაოებს ინდემწარმე „იოსებ მეხაშიშვილი“ აწარმოებს (პროექტის ღირებულებაა 7379, 12 ლარი). ვერხვიანის სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებს ინდემწარმე „ზურაბ დუჩიძე“ აწარმოებს (პრო-

ექტის ღირებულებაა 7162,7 ლარი). ყანდაურის საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ინდემწარმე „გონა პიტურიშვილი“ აწარმოებს (პროექტის ღირებულებაა 2459,2 ლარი). ბადიაურის სასმელი წყლის სისტემის აღდგენა-რეაბილიტაციას ინდემწარმე „ამირან როსტომაშვილი“ აწარმოებს (პროექტის ღირებულებაა 30945,61 ლარი). სოფელ მზისგულის სასაფლაოს შემოღობვას ინდემწარმე „ზურაბ თამაზაშვილი“ აწარმოებს (პროექტის ღირებულებაა 10237,46 ლარი). მალე დაიწყება პროგრამით გათვა-



ისწინებული სხვა პროექტების განხორციელებაც, რომელზედაც ტენდერი ეტაპობრივად გამოცხადდება.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობა

„ერთვალდი-2013“

მევენახეობის განვითარებისათვის რეალური ნაბიჯებია გადადგმული



ბლად საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოსამზადებელი სამუშაოები რამდენიმე თვის წინ დაიწყო. 2013 წლიდან სახელმწიფო იზრუნებს კერძო სექტორის ინტერესების მაქსიმალურად დაცვას და პარიტეტული პოლიტიკის შესანარუნებლად გლეხების დახმარებაზე – არ მოხდება დიფერენცირება მცირე და დიდი ფართობებიდან მიღებულ ყურძენზე, თანაბარი პირობები შეიქმნება მეწარმეებისთვის და მცირე ფერმერებისათვის.

სუბსიდირება განხორციელდება კომპანიებისათვის ყოველგვარი ვაუჩერის გარეშე. სახელმწიფო სუბსიდია 1 კგ რქაწითელსა და მწვანეზე შეადგენს 40 თეთრს, ხოლო 1 კგ საფურავის შემთხვევაში 25 თეთრის ოდენობით. აღნიშნულ სუბსიდიას ღვინის მწარმოებელი კომპანიები მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ ყურძნის შესყიდვა მოხდება ერთ ლარად ან ერთ ლარზე მეტ ფასად. შედგაითიანი აგროსექტორის პროექტს დაემატება მე-5 კომპონენტი – გაიცემა შედგაითიანი სესხები ღვინის მწარმოებელი

კომპანიებისათვის – 15 თვიანი სესხი 12-15%-ად. აქედან 9%-ს ფარავს სახელმწიფო. „როველი 2013“-ის ორგანიზებულად ჩასატარებლად შექმნილია საკოორდინაციო შტაბი, რომელსაც ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ლევან დავითაშვილი უხელმძღვანელებს. „როველი-2013“-ის ცენტრალური შტაბი იმუშავებს ქალაქ გურჯაანში (მისამართი: ქ. გურჯაანი, სასტუმრო „რები-გურჯაანი“) ცხელი ხაზი იფუნქციონირებს 24 საათის განმავლობაში. ტელ: 24-70-10.

ნაბარებული ყურძნის რაოდენობის, ხარისხის და სახეობის აღწერას საწარმოს წარმომადგენლებთან ერთად უხელმძღვანელებს გაუწევს შტაბის წევრი. ყურძნის მიღება მოხდება ორგანიზებულად, გლეხის ინტერესის გათვალისწინებით.

შესყიდული ყურძნის თანხას ნაბარებიდან 5 დღის განმავლობაში გლეხი საწარმოსგან მიიღებს. როგორც დაწესებულ საგაყიდვო ულრაფერმერმა (გლეხმა) სოფლის რწმუნებულის-

გან მიიღოს შესაბამისი ცნობა. საწარმოები მხოლოდ კონდიციურ, ხარისხიან ყურძენს ჩაიბარებენ. როველი დაიწყო ყურძნის ტექნიკური სიმწიფის მიღწევისას (შაქტიანობის შესაბამისი რაოდენობა).

წინასწარი მონაცემებით, 2013 წლის მოსავალი ქვეყანაში 150 000 ტონაზე მეტი იქნება. აქედან ზენს მუნიციპალიტეტში გაწარმოებულ სულ 17811 ტონა ყურძენს, მათ შორის რქაწითელს – 12375 ტონა. საფურავი – 3470 ტონა, მწვანე – 1016 ტონა, სხვა – (ძირითადად და სუფრის ჯიშები) – 950 ტონა. მთლიანად საღვინე ჯიშებიდან წარმოებული იქნება 16861 ტონა, საიდანაც 60%-ზე მეტი ჩაბარდება ღვინის მწარმოებელ კომპანიებს.

ბიკვი მათიასვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ჩვენი ქვეყნის დღევანდელი მთავრობისათვის სოფლის მეურნეობა უპირველესი პრიორიტეტია, რომლის განვითარებასაც მთავრობა სისტემატურად ახორციელებს. „როველი-2013“ ამ სისტემის შემადგენელი ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომელიც გარდამავალი ეტაპი იქნება წარსული პრობლემების დაძლევისა და სექტორის განვითარების მიმართულებით. „როველი-2013“-ის წარმატებით ჩასატარე-

ფარმაცია დასახმარებლად

მათ ჩვენი წინაპრები აშენებდნენ, პატივს სცემდნენ

საქართველოში უხსოვარი დროიდან კამეჩი გამწვევ ძალად და ოჯახის მარჩენად პირუტყვად ითვლებოდა. იგი ვერ ეგუება ზამთრის მისმე, კლიმატურ პირობებს. იმის გამო, რომ ძალიან თხელი ბეწვით არის შემოსილი, ვერც ზაფხულის ცხელ დღეებს უძლებს და ამიტომ ხშირად წყალში წვეს და ყოველთვის მდინარის, წყლის სანაპიროსთან ბაღახობს, ან ილტვის წყლისაკენ. კამეჩს საოფლე ჯირკვლები ძალიან სუსტად აქვს განვითარებული, რის გამოც სადამოს გაჟყავთ საძოვარზე. ზაფხულის მცხუნვარე დღეს კი წყალში, ან სივრცეში ატარებენ. ხშირად მთელი დამე სძოვს მინდვრად, ველზე ყოფნისას.



წონისაა. ფურკამეჩის საშუალო წონა 400-450 კგ-ს უდრის, ხარ-კამეჩისა – 450-550 კგ-ს. ფურკამეჩი წელიწადში 250-280 დღის განმავლობაში იძლევა რძეს. შეიძლება წველადობით ის ჯიშთან ძროხას ჩამოუყარებოდეს, მაგრამ მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ კამეჩის რძე მეტ მშრალ ნივთიერებებს შეიცავს და ცხიმოვან-

ბით 1,5-2-ჯერ აღემატება ძროხის რძეს. სწორედ ამიტომაცაა, რომ კამეჩის რძიდან ორჯერ მეტი კარაქი მიიღება. ასევე მალახარისხიანია კამეჩის რძიდან მიღებული ყველიც.

კამეჩი გამძლეა დაავადებების და მწერების მიმართ. ის ძალიან ადვილად იტანს თურქულს, ჯიღებს, ვიდრე ძროხა და საერთოდ არ ავადდება. მაგრამ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო 1-დან 3 წლამდე კამეჩისათვის, რომ არ დაავადდეს ისეთი დაავადებით, როგორცაა ე.წ. ლოკი. ეს არის ინფექციური დაავადება, რომელიც კამეჩში ყელის ტკივილს იწვევს და ხშირ შემთხვევაში სიკვდილიანობით მთავრდება. საოცარი თვისებები აქვს კამეჩს. გაეკვივრებათ, თუ გეტყვით, რომ ის გონიერია ცხენით და ერთგული ძაღლივით. არ არსებობს თავისი პატრონი ვინმემ დაჯანბნოს. საშინელი განრისხება იცის კამეჩს, როცა მის პატრონს ვინმე თუნდაც ხმამაღლა უყვირის. თავად თვინიერია. შეიძლება პატრონმა ჯოხით სცემოს, დგას მორჩილად და დააპაუპოთ ჩამოსდის ცრემლები. გულში წყენას არ ჩაიღებს, თვინიერად მივა თავის დასაბმელ ადგილას და თვინიერადვე მოეწყველინება პატრონს. ოღონდ, პატრონის გარდა, მოსაწველად არავის მიიკარებს, თუ პატრონის ნებართვა არ არის. ჩემი ოჯახის პირობებში ერთი კამეჩი დღეში 10 ლიტრს იწვევს, ოღონდ ეს კამეჩი მხოლოდ საძოვრით კმაყოფილდება, მას მე დამ-

ატებით არც კომბინირებულ საკვებს ვაძლევ და არც მწვანე მასას. შეიძლება სამზარეულოს ნარჩენები მივცე. მაგრამ, თუ სახლში დამატებითი კვება მივცე, შეიძლება 15-18 ლიტრიც მოიწველოს.

კამეჩის ხორცი ერთობ ცხიმოვანი, განსაკუთრებით ზაქობის ასაკში. მისი დაკვლა სიცხეში არ შეიძლება, რადგან ხორცი შავდება.

ახურბაიჯანში მინახავს კამეჩი, რომელიც დღეში სამჯერ იწვევდა – დღეში 40-45 ლიტრს. ისინი ტანით საქართველოში გავრცელებულ კამეჩებთან შედარებით დიდები არიან. მიზეზი ამ დიდი განსხვავებისა არის ის, რომ ისინი ჩალიანში, ტენიან ადგილებში არიან, სადაც კლიმატური პირობები აქვთ შექმნილი ის დღეში სამჯერ ტოვებს საძოვარს თავისი ნებით და მიდის პატრონთან რძის მისაცემად.

ერთ საინტერესო გადმოცემასაც გეტყვით – როგორც ტექნოლოგიის ცნობილია, ნოემ წარღვინს წინ კილობანში შეიღ-შვიდი წვეილი ცოცხალი არსება შეიყვანა გადასარჩენად. მან არ შეიყვანა თევზი, რადგან თევზი ხმელეთის სიმშრალის გარდა ყველაფერს გაუძლებდა წყალში, ასევე, მიიჩნია, რომ კამეჩი წყლის მოყვარული იყო და არც კამეჩი შეიყვანა კილობანში. როცა ხმელეთსა და კილობანის დამაკავშირებელ მორებს იღებდა, დაინახა კამეჩები გამორბოდნენ და ბლაოდნენ – ნოე, ნოეო, თითქოს მართლაც ნოეს ეძახდნენ. დააკვირდით, როცა კამეჩი ბლავის, ის „ნოეს“ ამბობს, თითქოს იმ ბიბლიურ ნოეს დღესაც ეძახის.

ვისაც აქვს იმის შესაძლებლობა, რომ კქონდეს წყალიც და საძოვარიც, მერწმუნეთ, ნამდვილად მომგებიანია კამეჩის ყოლა – ეს არის უპრეტენზიო, ბარაქის მომჩანი ცხოველი ყველანაირად. კამეჩი გამწვევი ძალადაა, ორ კამეჩს 3-4 ტონა ტვირთის გაწვევაც შეუძლია.

ფუტკარი... თაფლი



თაფლის ისტორია უძველესი დროიდან მომდინარეობს. თაფლი გარდა იმისა, რომ მინაგანი ორგანიზების სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა, იყენებდნენ ჭრილობების მოსაშუშებლად, ჩირქოვანი წყლებების მოსარჩენად. თაფლს ასევე იყენებდნენ დიდგვაროვანი ადამიანის ცხედრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასატანად (რადგან ძალიან ძვირი ღირდა და მიცვალებულის ტრანსპორტირებისათვის საკმაოდ დიდი დრო და მანძილიც იყო გასაუვლელი, ტრანსპორტირებისას საკმაოდ დიდი რაოდენობა იხარჯებოდა). არქეოლოგიური გათხრების შედეგად ეგვიპტეში 3000 წლის თაფლი აღმოაჩინეს სამარხში, მაგრამ საოცარია ის, რომ საქართველოში

საუკეთესო შორის საუკეთესო

ველოში აღმოჩენილი ჭურჭელი თაფლის ნაშთებით უფრო ძველი – 4400 წლისა აღმოჩნდა.

ახლა დიდი მნიშვნელობა ენიჭება თაფლს, როგორც ათასგვარი დაავადებების განმკურნებელსა და ავთვისებიანი სიმსივნის საწინააღმდეგო უებარ საშუალებას. როგორც ირკვევა, მეფუტკრეობის განვითარებისათვის და თაფლის წარმოების დაინტერესებას იმეჩენ ისეთი ქვეყნები, როგორცაა უკრაინა, თურქეთი, რუსეთი, აშშ, მაგრამ, ქართული თაფლი საუკეთესო თვისებებით გამოირჩევა. მიზეზი ერთია და გარკვეული – საქართველოში მსოფლიო ფლორის 1/3-ია წარმოდგენილი, რაც თაფლის საუკეთესო ხარისხის საუკეთესო წინაპირობას ქმნის. ამასთან, ისიცაა საინტერესო, რომ კვლევების ჩატარების შემდეგ მსოფლიოში აღიარებული იტალიური ფუტკარი ქართული ფუტკრის თვისებებმა „დაჯანბნა“ – ქართულ ფუტკარს აქვს განსაკუთრებული შრომისუნარიანობა, გრძელი ხორთუმი, ადვილად ორიენტირებს ყველა გარემოში და შეუცდომლად გრძობს საუკეთესო ნექტარის მოპოვების შესაძლებლობას. ამიტომაც ქართულ ფუტკარს სხვა ჯიშის: იტალიურ, სპარსულ, რუსულ, აფრიკულ ჯიშებთან შედარებით უფრო მეტ უპირატესობას აძლევენ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ჯიშის ფუტკარი საშუალო შრომის და სიცოცხლის უნარით ხასიათდება. ქართული ფუტკარი ნებისმიერ კლიმატურ პირობებში მუშაობს, აქვს ყველაზე გრძელი ხორთუმი, რაც ნექტარის მოპოვებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მაგრამ, როგორც ამბობენ, ერთი ისეთი თვისება აქვს, რაც

სხვა ჯიშის ფუტკრებში არ არის შემჩნეული: თუ მის კუთხილ არეალში ყვავილს ვერ იპოვის, მაშინ იწვევს ქურდობას, თაფლს მეზობელი სკებიდან „იპარავს“ და თავის სკაში ეხიდება. აქვს კიდევ ერთი განმასხვავებელი თვისებაც – მას ძაღლივით აქვს განვითარებული ყნოსვის ორგანო – ცნობს თავის პატრონს, არ ნესტრავს და მის მიმართ არ არის აგრესიული. ხშირად ამბობენ ხოლმე – პატრონს სუნით ცნობსო.

ფუტკარმა შეიძლება ერთი სახეობის ყვავილიდან შეაგროვოს თაფლი და ასეთ თაფლს მონოფლორულ თაფლს ეძახიან. შეიძლე-



ბა თაფლი მთავრობის წაბლის ან აკაციის ყვავილისგან. ასეთი თაფლი არ კრისტალიდება და აკაციის ყვავილისგან მიღებულ თაფლს დიდი სამკურნალო თვისებები აქვს მათთვის, ვინც ფილტვების ან ასთმური დაავადებისგან იტანჯება. ასევე, ცენტრალური და პერიფერიული ნევროზის მოსარჩენად კარგ შედეგს იძლევა მინდვრის ყვავილებისგან დამზადებული თაფლი. „მათრობელას“ ეძახიან იელის ყვავილისაგან დამზადებულ თაფლს – იგი ტოქსიკურიცაა და მისი დღხანს მიღება მოწამლვასაც იწვევს. ამიტომაც მისი მიღება დიდი სიფრთხილით უნდა მოხდეს.

PS. გთხოვთ გაგიზიაროთ ფუტკრის მოშენების და თაფლის გამოცდილება.

ახრი-შიქრი-ბანსჯა

დღესდღეობით საქართველოში უამრავი მშობლის წინაშე დგას პრობლემა, რა ასაკში მიიყვანოს შვილი სკოლაში. ამ საკითხთან დაკავშირებით დაიწერა უამრავი სტატია და საქართველოს რამდენიმე ქალაქში სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ ჩატარდა ფართომასშტაბიანი კვლევა. ქართული რეალობისთვის მნიშვნელოვანი ეს საკითხი დაისვა საქართველოს მეცნიერებისა და განათლების მინისტრის ბრძანების გამოსვლიდან, რომელითაც სასკოლო მინიმალური ასაკი განისაზღვრა 5 წლით.

ბავშვისთვის სკოლაში სწავლის დაწყება მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ეტაპია. იგი განვითარების ახალ საფეხურზე გადადის და პირველი წლის წარმატება დიდწილად განსაზღვრავს შემდგომში მის როგორც აკადემიურ, ასევე ფსიქოლოგიურ წარმატებასაც. სკოლისათვის მზაობა თითოეული ბავშვისათვის ინდივიდუალურია. იგი კომპლექსური ხასიათისაა, კერძოდ მოიცავს უამრავ სფეროს, რომლის სათანადო განვითარება არის მნიშვნელოვანი კრიტერიუმი სასკოლო მზაობისთვის. ამიტომ თითოეული მათგანის ინტელექტუალური და ფსიქო-ემოციური განვითარების დონე ერთსა და იმავე ასაკში ერთნაირი ვერ იქნება.

ზუსტად რა ასაკშია მზად ბავშვი სკოლისათვის, ამაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მზაობა ინდივიდუალურია და დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე. მაგ. გარემოზე, რომელშიც ბავშვი იზრდება, აღზრდის სტილზე, სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაზე და ა.შ. შესაძლებელია, ბავშვი იყოს 6 წლის და არ იყოს მზად სკოლისათვის, ამის განსაზღვრა ფსიქოლოგებისა და პედაგოგების კომპეტენციაა, თუმცა ამგვარი პრაქტიკა საქართველოში ჯერჯერობით არ არის დანერგილი.

საქართველოში სასკოლო ასაკის 5 წლამდე შემცირებას მნიშვნელოვანი პროგრამული ცვლილებები არ მოჰყოლია. 6-წლიანზე გათვლილი პროგრამა ავტომატურად იქნა გადატანილი 5-წლიანზე

რას უშიქრობენ ასაკბუნებრივი მოზარდის კლასში?

სასკოლო მზაობა

და მათ, როგორც სოციალური ანალიზისა და კვლევის ინსტიტუტის გამოკვლევის შედეგად დადასტურდა, სწავლების პროცესში შეექმნათ უამრავი სირთულე. როგორც კვლევამ აჩვენა, 5 წლის მოსწავლეები ყველა კრიტერიუმში ჩამორჩებოდნენ 6 წლის მოსწავლეებს. ასევე ის მოსწავლეები, რომლებიც საბავშვო ბაღში დადიოდნენ, უკეთ ვერებოდნენ სასწავლო პროცესს. გამოიკვეთა კიდევ ერთი სირთულე, კერძოდ, საქართველოში სკოლამდელი განათლება ნებაყოფლობითია და ამიტომ პირველკლასელებს არათანაბარ სასტარტო პირობებში უწევთ სწავლის დაწყება.

ამ პრობლემასთან დაკავშირებით, მცირერიცხოვან შერჩევით ჯგუფზე დაყრდნობით, მეც ჩავატარე სასკოლო მზაობის კვლევა ერთ-ერთ საბავშვო ბაღში. კვლევის მეთოდად გამოვიყენე გერმანელი ფსიქოლოგის, გ. ვიტცკალის, ტესტი, რომლითაც განისაზღვრება ბავშვების გონებრივი განვითარების დონე და მომავალი სასწავლო პროცესისადმი მზაობის შესაბამისი უნარები, ხოლო სოციალურ-პიროვნული მზაობის საკვლევად ნ. გუტკინას მიერ შემუშავებული პროგრამის ერთი კომპონენტი, რომელიც ეხება ნებელობას, იმპულსების შეკავებას და უკავშირდება ინტელექტის მანევრებულს, მისი შესრულება შეუძლებელია ნებისმიერი ყურადღების, ნებისმიერი მეხსიერებისა და მოქმედების ნებისმიერი რეგულაციის გარეშე.

სულ გამოვიკითხე 18 ბავშვი, რომელთაგანაც 9 იყო 5 წლის და 1 თვიდან 5 წლის და 10 თვემდე, ხოლო 9 ბავშვი 6 წლის. შედეგები შემდეგნაირი აღმოჩნდა: სასკოლო

მზაობის შესაბამისი მაჩვენებელი მიიღო ბავშვების 61%-მა, ყველა 6 წლის ბავშვმა და 5 წლიანებმა მათ, ვინც იყო 5 წლის და 10 თვის და ზემოთ, ანუ სასწავლო წლის დაწყებამდე შეუსრულებდნენ 6 წელი.

ასევე ვიკვლიე სოციალური მზაობის ერთ-ერთი კომპონენტი რუსი ფსიქოლოგის გუტკინას პროგრამიდან, კერძოდ დავალება „კი და არა არ თქვა“, რომლის შესრულება დაკავშირებულია ყურადღებისა და მოქმედების ნებისმიერ რეგულაციასთან, გარედან დასახული მიზნისა და სასურველი შედეგის მისაღებად განზრახვის ფორმირებასთან. მოცემული უნარის გარეშე მოსწავლე ვერ შეძლებს ნიმუშითა და წესების დაცვით მუშაობას, რაც აუცილებელია I კლასში წარმატებული სწავლისათვის. ამ დავალების შედეგები ბევრად უკეთესი იყო 6 წლის ბავშვებთან, 5 წლის ბავშვებს უჭირდათ ყურადღების კონცენტრაცია, ავიწყდებოდათ ინსტრუქცია და მიწვევა, რამდენიმეჯერ შემესხებინა მათთვის წესები.

შედეგები ფაქტობრივად ემთხვევა სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ მიღებულს, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა ამ რამდენიმე წლის განმავლობაში. 5-წლიანების უმწიფარი სფეროები იგივეა: ნატიფი მოტორიკის პრობლემა, სარკისებრი ეფექტი (რაც გამოიხატება შს და წს ვერ გარჩევაში), ყურადღების კონცენტრირების პრობლემა, ხანგრძლივი მეხსიერების პრობლემა, ნებელობის კონტროლი.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ 5-წლიანების სასწავლო პროცესში ჩართვა შეუძლებელია, თუმცა დღეს საქართველოში არ არის შესაბამისი გარემო მათი სწავლებისთვის. ბავშვის სკოლაში მიყვანა-არ მიყვანა ძირითადად მხოლოდ მშობელი წყვეტს, რომელიც საკითხავია, რა ფაქტორებზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას. ხშირად ეს ფაქტორებია მხოლოდ მეტრიკული ასაკი, ან დასწავლილი ლექსების რაოდენობა, ან

ახრი-შიქრი-ბანსჯა

სიმაღლე, ან ის, რომ „ორგვლივ ყველამ მიიყვანა და ჩემი შვილი ხომ არ ჩამორჩება“. ასევე ერთ-ერთი პრობლემა სპეციფიკური და უნივერსალურია ქართული კულტურისათვის, კერძოდ ქართველი მშობლები ნაკლებად აჩვენებენ შვილებს დამოუკიდებლობას, რაც მათი სოციალური მოუზონებლობის საწინდარი ხდება და ბავშვს აყენებს უამრავი პრობლემის წინაშე. იმას კი არააინ თვალისწინებს, რომ საჭიროა შესაფერისი ფიზიკური, კოგნიტური და ფსიქო-სოციალური მზაობა, რომელიც, ფსიქოლოგების აზრით და დასაბუთებულადაც, მხოლოდ 6 წლის ასაკიდან ვითარდება. ასევე საჭიროა შესაფერისი გარემო სკოლებში, საკლასო ოთახების შესაბამისად მოწყობა, 5 წლის ბავშვების ცალკე გამოყოფა, მასწავლებლების გადამზადება და ასევე მშობლების ინფორმირებულობა სასკოლო მზაობის შესაბამის უნარებთან დაკავშირებით.

ბავშვი, რომელიც ვერ დაძლევა პროგრამას და ჩამორჩება სხვებს, იღებს სტრესს გარემოდან, უყალიბდება არასრულფასოვნების კომპლექსი და ფერხდება, როგორც მისი აკადემიური მიღწევის დონე, ასევე ზიანდება მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა. იგი ხშირად ხელს იღებს სწავლაზე და ეს ყველაფერი უარყოფითად მოქმედებს მის პიროვნულ ფორმირებაზე. ბავშვის, რომელიც ეს-ესა იწყებს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას, წარმატება-წარუმატებლობა და მომავალი ბევრად დაამოკიდებული ქართულ გარემოზე, რომელიც საკითხავია, უწყობს თუ არა ხელს მას წინსვლაში და წარმატებაში.

ამიტომ, ზოგადად, ფსიქოლოგებისა და პედაგოგების რჩევა იქნება, თავი შევიკავოთ 5 წლის ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვისაგან, სანამ არ შეიქმნება სრულყოფილი გარემო მათი სწავლებისა და განვითარებისათვის.

ბარბარე ბეშია, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტი

ინტენტივობის ჩამოყალიბების პროცესში მოზარდები იძულებულიები არიან თავიანთი ღირებულებები და ქცევები მშობლის ღირებულებების მიხედვით ჩამოაყალიბონ. მშობლების ყველაზე მნიშვნელოვანი დავალება პარადოქსულია. ერთი მხრივ, კარგი მშობელი დაეცუვება აგრძნობინებს ბავშვს თავს და და უქმნის ისეთ გარემოს, სადაც იგი თავს მნიშვნელოვნად ჩათვლის. მეორე მხრივ კი მშობელს სურს, მისი შვილი გახდეს დამოუკიდებელი და შეძლოს საზოგადოებაში დამოუკიდებლად, სრულყოფილად ფუნქციონირება. გარდა ამისა, ოჯახური სისტემები დინამიკურია: ოჯახის ერთი წევრის ქცევით ცვლილება გავლენას ახდენს ოჯახის სხვა ყველა წევრზე. ასეთი ცვლილებები ხშირად კონფლიქტის გამოწვევები მიზეზი ხდება, რაც ირეკლება თაობათაშორის ურთიერთობებში.

თაობათაშორისი ურთიერთობები
მოზარდის სურვილს – მოიპოვოს ავტონომია, ხშირად მიყვარათ კონფლიქტებამდე ოჯახში. მოზარდი საკუთარ თავს თვლის ჩამოყალიბებულ პიროვნებად და ამის გამო მოითხოვს, რომ მას ისეთივე უფლებები ჰქონდეს, როგორც უფროსებს. როდესაც მშობლების მხრიდან, ამ მხრივ უხეშ წინააღმდეგობას აწყდება, ცდილობს პროტესტით გამოხატოს. მშობლებს უჭირთ შვილებისათვის გარკვეული ავტონომიის მიცემა, მოზარდი კი ამის გამო მათთან კომუნიკაციაზე უარს ამბობს და დამოუკიდებლად იწყებს საკუთარი სურვილების განხორციელებას.

თუმცა, სტატისტიკა გვაჩვენებს, რომ მოზარდსა და უფროსს შორის იმაზე გაცილებით ნაკლები კონფლიქტი ხდება, ვიდრე გვეონია. ძირითადი კონფლიქტები ეხება აკადემიურ მოსწრებადობას, გარეგნობას, კვებას და ა.შ. მშობლებსა და შვილს შორის იდეოლოგიურ თემებზე კამათი (რელიგიური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური დრებულებების შესახებ) იშვიათად ხდება, შეიძლება იმეტი, რომ ძალიან ცოტა მოზარდი ახერხებს ჩამოყალიბობს ამ თემებზე ინდივიდუალური, დამოუკიდებელი აზრი.

კვლევის მონაცემების მიხედვით, კონფლიქტები პიკს აღწევს შუა მოზარდობის

მოზარდი ოჯახში, ურთიერთობა მშობლებთან

(15-16 წელი) ხანაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შვილი იწყებს ადრე მომწიფებას, უკეთეს შემთხვევაში მშობელი ცდილობს გაუგოს შვილს და ცდილობს მასთან ერთად დაძლიოს პრობლემა.

ოჯახური ალიანსი
ოჯახური ალიანსი ქცევის ფორმირებაზე გავლენის მოხდენას ჯერ კიდევ მოზარდობამდე იწყებს, თუმცა განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა ალიანსებს მოზარდობის პერიოდში აქვს. თუ უფროსი ძმა გავლენას ახდენდა უმცროსზე ბავშვობაში, დიდი ალბათობით, იგი მოზარდობაშიც დიდ როლს შეასრულებს.

ოჯახის წევრებს შორის სხვადასხვა ალიანსები არის ჯანსაღი და ნატურალური. მნიშვნელოვანია, რომ მშობლებმა შეძლონ შვილებთან მეგობრულ ურთიერთობასა და შვილსა და მშობელს შორის არსებულ ზღვარს შორის ოქროს შუალედის დაცვა. მშობლებმა ასევე უნდა იმუშაონ ერთად, რომ შვილს ასწავლონ დისციპლინა.

მშობლებისა და შვილების ურთიერთობაში დამანგრეველი ძალის მქონე, შემადგურებელი ფაქტორი შეიძლება აღმოჩნდეს ერთ-ერთი მშობლისა და შვილის ურთიერთობა, რომელიც მეორე მშობელს ურთიერთობიდან „ავადებს“, რადგან „გავადებული“ მშობელი კარგავს ავტორიტეტის როლს შვილის თვალში.

ალზრდის სტილი
მოზარდები, რომლებმაც გამოცადეს ავტორიტარული ალზრდა, მაგალითად, მკაცრი კონტროლი და წესები, ხშირად ხდებიან დამოკიდებული და შემინებული ავტორიტეტულ პიროვნებასთან ან შეიძლება პირიქით, გახდნენ გამომწვევები და გაბრაზებულები.

ინდიფერენტული ალზრდის სტილი - მათ მოზარდ შვილებს შეიძლება ჰქონდეთ პრობლემა ზღვრის დადგენაზე და შესაბამისი ქცევის განსაზღვრაზე.

ნორმალური და ჯანსაღი მოზარდობა არის შედეგი ავტორიტეტული ალზრდის

სტილის, რადგან ეს სტილი ეხმარება ბავშვებს ჩამოყალიბდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა, დამოუკიდებლობის განცდა და ა.შ. დედა და მამა სხვადასხვანაირ გავლენას ახდენენ შვილებზე. დავიწყოთ იქიდან, რომ დედა ძირითადად იცის შვილის აქტივობებზე მეტი, ვიდრე მამამ და დედის მეტი ცოდნა არის ასოცირებული შვილის ნაკლებ დევიანტურ ქცევასთან.

გარდა ამისა, დედები შვილისა და მშობლის ურთიერთობისა და კონფლიქტების მოგვარებისათვის უფრო მეტ ძალ-ღონეს ხარჯავენ, ვიდრე მამები. დედებსა და მზარდებს შორის ურთიერთობის გაფუჭება მოზარდის იდენტობაზე ცუდ გავლენას ახდენს. დედა-შვილის ურთიერთობის რომელი ასპექტებია ყველაზე მნიშვნელოვანი? ერთ-ერთი კვლევის შედეგების მიხედვით, როდესაც დედები სასტიკი, მკაცრ ქცევას იჩენენ შვილების მიმართ, ბავშვების ქცევები უფრო მეტად პრობლემატური ხდება. როცა დედები ზედმეტად დიდ ყურადღებას იჩენენ ბავშვების მიმართ ან როდესაც ნაკლებად ეთანხმებოდნენ შვილების არჩევანს, ბავშვებს ემოციური პრობლემები უფრო ხშირად აღემატება. ხოლო მამის, როცა დედები მეტად ცვალებად დამოკიდებულებას იჩენენ შვილების მიმართ, ბავშვებს ზემოთ აღნიშნული სირთულეების ორივე - ქცევითი და ფსიქოლოგიური ტიპი უფრო აღემატება.

დედის როლმა უკანასკნელ ათწლეულებში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. უამრავი დედა ახლა სრული დატვირთვის სამსახურში მუშაობს. ბევრი ბავშვი უმამოდ იზრდება. გასაკვირი არაა, რომ დედების როლის შეცვლასთან ერთად ოჯახის სხვა წევრების როლებიც გადაფასდა.

ასე რომ, როგორც მოვახდინოთ ოჯახური დინამიკის გენერალიზება. ცხადია, რომ მამები და სხვა ოჯახის წევრები დიდ როლს თამაშობენ მოზარდის განვითარებაში და რომ ოჯახური ურთიერთობები კომპლექსურია. კვლევები ხშირად აჩვენებს, რომ ერთ

ოჯახში ბავშვებს მოზარდობის დროს აქვთ მეკეთრად განსხვავებული გამოცდილებები მშობლებთან მიმართებაში. მაგალითად, როცა ბავშვი შვილის მოზარდობაში, არ სიამოვნებს სითბოს გამოხატვა არც დედისაგან და არც მამისაგან. ეს უარყოფა არის უფრო მძაფრი პირველი შვილის შემთხვევაში. ასევე, ოჯახური კონფლიქტები ძირითადად ძლიერდება მაშინ, როდესაც პირველი შვილი ხდება მოზარდი, ხოლო, როდესაც უმცროსი შვილები შედიან მოზარდობაში, კონფლიქტების დონე, ძირითადად, არ იზრდება. შვილები პრობლემის მოგვარების გზებს სწავლობენ მშობლების ქცევებიდან. ერთ-ერთ კვლევაში, რომელიც აკვირდებოდა მშობლებს, თუ როგორ ჭრიდნენ ისინი პრობლემას და როგორ აგრძელებდნენ ურთიერთობას ერთამენთან, აღმოჩნდა, რომ რამდენიმე წელიწადში, მას მერე, რაც ბავშვები მოზარდები გახდნენ, ისინი პრობლემას უდგებოდნენ იმავე სტილით, რაც მათი მშობლები.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახში მიღებული სტრუქტურა მოზარდის განვითარებაში. როდესაც არსებობს ოჯახში პრობლემა, ხშირად მოზარდი ამას გამოხატავს სკოლაში სწავლის გაუარესებით, და ა.შ.

თვალ-ყურის დევნება - რაც უფრო იზრდებიან და უახლოვდებიან ბავშვები მოზარდობას მშობლის კონტროლი გადაიქცევა მონიტორინგად. მშობლები აძლევენ რჩევებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს, მაგრამ მხოლოდ იმ ვარაუდებში, რაც მათ შვილს სურს. ის მშობლები, რომლებმაც ააგეს თავიანთი შვილებთან მჭიდრო, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა უფრო მეტს იკებენ საკუთარი შვილების აქტივობებზე. ურთიერთობებზე და შესაბამისად ხელს უწყობენ მათ პიროვნულ და ინდივიდუალურ განვითარებას.

კანონი წაინიშნული თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის ფსიქოლოგიის მიმართულების სტუდენტი

ლიტერატურული მარათონის გამარჯვებულები

მაგდა საბინაშვილი საბარჯოს II საჯარო სკოლის მოსწავლეა. მაგდას ცხოვრების ღვიზია „ცხოვრებ იმე, თითქოს დღეს შენი ცხოვრების უკანასკნელი დღეა და დანახე ისეთი მიზნები, თითქოს ხვალ მარადის-თარი სამის პროფესორი იყო“. მაგდას პოზია ფიზიკის მუშაობა, ჟიურის პითხვა და ჩანახატების წერა. მისი საყვარელი ლიტერატურული ჟანრია სათაგადასაგლო, საყვარელი ლიტერატურული გმირია ვიქტორ ჰოგოტი, მარტინ იდელი და მაგამ ბოვარი. მაგდას საყვარელი ფრაზაა: „მისი ისეთი კაცია, რომელსაც სიცილი ავიწყდება, რატიმისტი კი იცინის, რათა ზოგი რამ დაივიწყოს“..

მთაწმინდა, ნაკვეთი, წვიმა და მოგონებები

თბილისის აეროპორტს ვტოვებ. უკვე ქართულ მიწაზე დავაბიჯებ. ჩემი ქვეყნის მონატრების სურვილი ინსტიქტურად მმართავს. „ყვითელას“ ვაჩერებ და უმისამართო მოგზაურობას ვიწყებ. წამით თვალს ვხედავ და საშინლად მინდება ჩემს უსაყვარლეს ადგილს მივაკითხო. რაღაც სიცარიელეს ვგრძნობ შიშით. 10 წლის მონატრებული ქვეყანა სულ სხვანაირი მეჩვენება. ახლიდან დაბადებულს ჰგავს თბილისი. ევროპული იერი მთელ ქალაქს გასდევს. მთაწმინდისკენ ფეხით მივლივარ. ქუჩაში გამოშლილი ხალხი უცნაურად მომჩერებია. ალბათ ჩემი ზედმეტად მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მოსწონს, ან მოკლე კაბა, ან იქნებ უკვიროს, არ ვიცი. გამკვლავ ქალს საათს ვკითხვები. უკან თინეჯერები მომყვებიან. ერთი ჟღალთმიანი გოგონა მახერებს.

– ჰელლოუ მისს, – მეუბნება და ვიახრებ, რომ უცხოელი ვგონივარ. ამ წლებმა ჩემი იერიდანაც წაშალა თითქოს ქართველობის კვალი.

მე სხვა ვარ, თითქოს არაქართველი...
– ქართველი ვარ, – ვპასუხობ გოგონას და მედიმბა. გულში რაღაც სიმი ტოკდება. მეამბეხება ქართველობა, დღეს უფრო მეტად... თითქოს მიხვდი კიდევ, რომ ღონღონში გატარებული 10 წელი ტყუილად დაგვარგე.

– დღეს თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა, – მეუბნება გოგონა და რაღაც ბროშურას მაწვდის. ზრდილობის გამო მართმევ. თავდაც მწვეული გახლავართ, მაგრამ ნაკლებად მაინტერესებს თამბაქოს წინააღმდეგ ბრძოლა. წლები ვე-

ცადე, მაგრამ ვერ გადავწყვიე...
ჰაერში გახაფხულის, თამბაქოს, მტვრის სუნი იგრძნობა.

მასია. შეყვარებული წვეილები ხელიხელნიკდებულნი დასეირნობენ. კეთილი შურით მშურს მათი.

ქვადორდიანი გზა იწყება. არ ვიმჩნევ, ქუსლიანი ფეხსაცმელი რომ მაცვია და თამამად მივაბიჯებ. თბილისის ანბა უკვე მოჩანს. რა სხვანაირია ყველაფერი. სულ სხვა თბილისი დავტოვე, როცა მივდიოდი და სულ სხვა დამხვდა, როცა ჩამოვედი. ევროპის სუნი უდის აქაურობას.

– ლიკუნა, შენ ხარ, – მეძახის ვიღაც ზურგიდან.

ეს „ვიღაც“ ქალბატონი ნინოა, ჩემი მეზობელი, ვითომ ჩემი მოყვარე...

– ჩამოხვედი? როგორ ხარ? როგორ შეცვლილხარ... აქ აპირებ დარჩენას? რა კარგი სუნამოა, რომელს ხმარობ? – კითხვების კორიანტელში გამხვია ნინომ.

– კი, დღეს. სახლში ჯერ არ მივსულვარ. მაინც არავინ მელოდება, თქვენდა გასახარად აღარსად მივლივარ, – ირონიული დიმილით გუპასუხებ. მეზობელია ეს ქალი. ზურგიდან მომამახა, სადამოს შემოვივლიო, ვითომ „გამახარა“.

ნინო... ერთი აბეზარი ქალი. ვითომ ჩემი კარგი რომ უნდა და ზურგს უკან მუდამ ჩემს გატარებაშია. ახლა იმაზე ლაპარაკობს, 30 წლისაა და ჯერ ვერ თხოვდებო... გავიგე ამის გახსენებაზე გულიანად გამეცინა.

მთაწმინდა... მზე შუბის წვერზე... სიცხე და ნაძვები. ბევრი, ბევრი ნაძვები... ჭრული სკამები, მოკისკისე პატარა ბავშვები, შეყვარებული წვეილები. თვალზე ცრემლი მადგება. მეც ვოცნებობდი ამგვარ ბედნიერებაზე, მაგრამ... კულულებიანი გოგონა ახერხებს ხელიდან დაუსხლტეს დედას და სტუნვა-სტუნვით გააგრძელოს გზა. განმარტოებით მდგარ სკამზე ვჯდები და...
10 წელი ხელახლა მახსენებს თავს... 10

ტკივილიანი, მოგონებებით დახუნძლული წელი.

* * *

იმ ცივ დაწვევლილ, ნისლიან-ბურუსიან ქვეყანაში დაკარგე სიყმაწვილე, იმედი, სულის სიმშვიდე, თვალის ელვარება, აღტაცება, სიყვარული და სიძულვილი...

ისევ ის 20 წლის ლიკა ვარ. თბილისშით აღსაკვებ.

აი, თბილისის აეროპორტში ვდგავარ და დედის ხელის კანის სითბოს ვგრძნობ, სულში რომ აღწევს და ემოციურად მელვრება გულში. დედისურთა ვარ. მამა არ მყავს, აღარ... დედა მიღიმის. ვიცი, რომ უძნელდება ჩემი გაშვება უცხო ქვეყანაში. ვიცი, რომ სტკივა, ძალიან, ძალიან სტკივა, მაგრამ არ იმჩნევს. მე მივდივარ და დედას მარტოს ვტოვებ ტკივილთან, ფიქრებთან და უსაშველო მონატრებასთან.

მიზანდასახული ვიყავი იმდროინდელე. საუკეთესოდ ვისწავლე და ინგლისში სწავლის გრანტიც მოვიპოვე. ღონღონი აუხდენელი ოცნება იყო ჩემთვის, მაგრამ ხანდახან ხომ ოცნებებიც ხდება. ასე მოხვდი ღონღონში.

ღონღონი. ცივი ხალხით და ცივი ამინდით. სულ წვიმა და მონატრება. ვიწრო კაფეები, ბარები და წიგნები – ჩემი ცხოვრების სტილი წლების მანძილზე.

მონატრება ქვეყნისადმი, დედისადმი და... ბიჭისადმი, რომელიც მხოლოდ ჩემს ოცნებებში იყო, მის ოცნებებში კი ჩემს ადგილს უბრალოდ ვერ ვპოულობდი. სხვა შეყვარდა და მეც ვცდილობდი უიმისოდ ცხოვრება მესწავლა.

ოქსფორდში კარგად მიმიღეს. სამშობლოსგან შორს ყოფნამ ხასიათი დამიმძიმა. მუდმივმა მონატრებამ მარტოობა მაიძულა. დისტანციას ვიჭერდი ყველასთან... გარდა ერთისა. ის ჩემი პროფესორი იყო, დანიელი, 70-ს გადაცილებული, თეთრწვერა მოხუცი. მიყვარდა მასთან ერთად წვიმიან ამინდში, საღმე, ვიწრო მოკრწველი ქუჩის კუთხეში მყოფ, პატარა ბარში ჯდომა, ჩაის დალევა მაფინებთან ერთად და მსჯელობა. ესაუბრობოდი ყველაფერზე, ალბათ არ არ უნებოდა თემა, რომელსაც არ შეგხებოვართ.

შვილივით ვუყვარდი. ალბათ უფრო იმიტომ, რომ ერთმანეთს ვგავდით და თავად არ ჰყავდა შვილი. ყოველთვის აღნიშნავდა, რომ უნიჭიერესი, პერსპექტიული მომავლის მქონე სტუდენტი ვიყავი, საუცხოო განათლება მქონდა და საქართველოს მსგავს ქვეყანაში ჩემი ნიჭი გზას ვერ გაიკვლევ-

ვდა. დამიყოლია... და მეც დავრჩი. რამდენიმე საინტერესო პროექტი გამომიძებნა და მუშაობას შევედევნი. მინდოდა რაღაც თანხა მომეგროვებინა, თბილისში ნორმალურად რომ გვეარსება მე და დედაჩემს.

ღონღონში ყოფნის 5 წლის შემდეგ... დანიელმა დამტოვა. სრულიად მოულოდნელად ჩემმა თეთრწვერა ბაბუმ სუნთქვა შეწყვიტა და მეც მეტად დაკარგე სურვილი – გამეღმია... მაღვეე გავიგე, რომ დაკარგე სიყვარულიც... ის მოკვდა. მოკვდა ახალგაზრდა... თავი დაიხრჩო, სადღაც, სარწყავთან იპოვესო, – მხოლოდ ეს მითხრა დედა.

მარტოობა ჩემთან დადიოდა პაემნებზე.

მე შემეყვარდა კიდევ ის.

თითქოს, იმიტომ დავიბადე, რომ მარტოობა არასოდეს დამეცოვებინა მარტო...

დედა... ერთადერთი იმედიც ხელიდან გამიქრა.

2008 წელი... ისიც საქართველოს სიყვარულს შეეწირა. საავადმყოფოში მუშაობდა, ცდილობდა სხვისი სიცოცხლე ეხსნა, მაგრამ...

საქართველოში სიტუაცია დაიძაბა, მერე აქ გამოჩნდა უამრავი პრობლემა და არავინ მაცალა უკანასკნელ გზაზე გამეცილებინა ქალი, რომელმაც 9 თვე მუცლით მატარა, ბოლო პეშვი მიწა მე დამეყარა მის საფლავზე.

მტკივა უმისობა. დღესაც ვერ შევჩვიე იმ აზრს, რომ სახლში შესულს სამზარეულოში მოფუსფუსე აღარ დამხვდება.

ამხელა პლანება, ამხელა ქვეყანა და ამდენი ხალხი... და მე მაინც მარტო ვარ!!!

ღონღონი – ჩემი ტკივილიანი მოგონება და თითქოს ფუჭად დაკარგული 10 წელი... დაკარგული სიყმაწვილე და გულიც, დაფერფლილი, ნაცარტუბად ქცეული.

* * *

რაღაც სისველე ვიგრძენი მუხლთან და ფიქრებიდან უმაღ გამოვერკვიე. თითქოს მეძინა და გამომაფხიზლეს.

ვტიროდი, ისე, როგორც 10 წლის წინ, ვტიროდი ისე, როგორც არასდროს.

სახლში წავლის დრო იყო. იქ, სადაც აღარავინ, არავინ მელოდებოდა.

მთაწმინდა... ნაძვები... თბილისი.

წვიმა და ცრემლი.

ტკივილი და მოგონება... ფუჭად დაკარგული სიყმაწვილის 10 წელი.

პროფესორო, კარგად კაკუნა!

თათია ბრატიაშვილი – ნინოწმინდის საჯარო სკოლის მოსწავლეა. მისი ცხოვრების მიზანია – „შრომა წარმატებისათვის!“ მიზანი – „ჩამოგყალიბდი პიროვნებაა, ვიპოვე და დავიკვირებო საკუთარი თავი საზოგადოებაში“. თათიას პოზია ცეკვა, სიმღერა, ხატვა და შემეცნებითი ჟიურის პითხვა, საყვარელი ლიტერატურული გმირი ჯიონი პარი. თათიას საყვარელი ფრაზაა – „შეშავდი კარგად იმედა“.

თითქოს ყველაფერი საოცრად იყო, თითქოს სხვანაირად არც შეიძლებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ თითქოს, მხოლოდ მოჩვენებით. ცხოვრების ნელ დინებას მივყვები, წყნარად, მშვიდად, სიცოცხლის უსახვრო ხალისით... მიყვარდა ის ცივი, დაწვევლილი, ნისლიან-ბურუსიანი ქვეყანა, მიყვარდა მშობლიური, უტკბესი ჰაერის ფილტვების უკანასკნელ კუნჭულამდე ჩახუნთქვა, ჰაერის, რომელიც გაუფლეთილი იყო ხალხის სათნოებით, სიკეთით, სიყვარულით... ჩემი პატარა გულისფიცარი, ამდენი სიყვარულით აღტაცებულ გულის ფუტქვას ვედარ უძლებდა... ჩემს გულს, ჩემს სულს, ჩემს არსებას მთლიანად მოეცვა არამქვეყნიური სიყვარული... მიყვარდა გველივით დაკლავილი სოფლის ქვადორდიანი ბილიკი, ეს ქვადორდიც მიყვარდა... მახსოვს, ამ ბილიკზე ხტუნვა-ხტუნვით ჩავირბენდი საყვარელი სოფლის საყვარელ მტკვრში ამოვლებული, გაშავებული შიშველი ფეხებით... მიყვებოდი ჩემ ბილიკს და აღმაფრენისაგან მთელი სხეული ვორთოდი... თვალს ვავლებდი იმ სარწყავს, რომელშიც სირბილისაგან გახ-

ურებულ ფეხებს ვიგრძობდი, ბავშვური გულბრწყინობით ვაკვავუნებდი ფეხებს და ვტკბებოდი წყლის კეთილშობილებით... როგორ მეხმარებოდა მშობლიური წყალი... და ჩემზე ბედნიერი ამქვეყნად არავინ მეგულებოდა.

სულ პატარა ვიყავი, სულ პატარა, როცა ჩემი ბავშვური სიყმაწვილე სადღაც დაკარგე, დაკარგე...

ჯადოსნურ სამყაროს ნიღაბი ჩამოეხსნა, რომლის მიღმაც უიმედობა, მარტოობა, უნუგეშობა იმალდებოდა... სამყარომ ჩემს წინააღმდეგ პირი შეკრა და აღარც გაუღიმიო, როგორც ჩემს მიუყვარებელ ოცნებას, ჩემს ნარნარა ტრფობის ყვავილს... ყვავილი იყო... დიახ. სწორედ რომ ყვავილი, რომელიც აქამდე არსად მენახა... მომწუსხა და მთლიანად დამიპერო ამ ყვავილის სურნელებამ, ამ ყვავილის სინატიფემ და სილამაზემ... მაგრამ, არა... ვერ გეტყვი, რომ ის უბრალოდ ლამაზი იყო... ეს სულთერების გვირგვინით შემკობილი ღვთაებრივი სანუქარი იყო, უფლისაგან ბოძებული... მაგრამ ეს სანუქარი საზოგადოებამ ვერ შეიცნო და ვერ დაფასა... სამწუხაროა, მაგრამ...

– პროფესორო, თქვენ ერთი ნახვით შეგიყვარდათ?

– ერთი ნახვით? ის, როგორც ადამიანი ფიზიკურად ვნახე ერთხელ, მაგრამ მთელი ცხოვრება ჩემი თანამგზავრია... სულ ჩემთან იყო... მასში ვაფასებდი იმას, რაც ალბათ ქვეყნად სულ რამდენიმეს აქვს... ძნელია, მართლაც ძნელია...

– და მაინც რა ჰქონდა მას ასეთი ღვთიური?

– თქვენს მიერ დასმულ კითხვას ვერ

შევძლებ ამომწურავად გუპასუხო. ვფიქრობ, დღესდღეობით ადამიანობა იშვიათობაა... დიახ, მართალია, რომ ჩვენ, ყველანი ადამიანები ვართ, მაგრამ ჩვენ შორის მხოლოდ მცირედნი თუ ყალიბდებიან პიროვნებები... ის იყო პიროვნება!...

– რას გულისხმობთ პიროვნებაში?

– პიროვნებაში ვგულისხმობ ადამიანს, რომელიც ცდილობს განმტოვებას... უფრო კონკრეტულად კი, იმას, რომ აღიდგინოს დაკარგული ხატება და მსგავსება უფლისა... ის სწორედ ტაძრისკენ მიმავალ ამ ურთულეს გზას მიჰყვებოდა... სწორედ ეს მიყვარდა და ახლაც ძალიან მიყვარს მასში...

– პროფესორო, რას ურჩევით ხალხს?

– საზოგადოებაზე, ხალხი, ჩემი საყვარელო ერო... გირჩევთ მიჰყვით უფლის გზას, სადაც ყოველივე წარმატებულია... გარდა ერთისა! ეს ერთი კი ჩვენში დაბადებული უფალია. დამიჯერეთ, რადგან არ მინდა კაცობრიობის ისტორიაში განმეორდეს ის, რაც მოხდა იმ ცივ დაწვევლილ, ნისლიან-ბურუსიან ქვეყანაში... მე გესაუბრებით თქვენი მოყვარე და მოგიწოდებთ გამოფხიზლებისაკენ! გირ...
– უკაცრავად, პროფესორო, მაგრამ ყველას აინტერესებს, რა მოხდა იმ ცივ, დაწვევლილ, ნისლიან-ბურუსიან ქვეყანაში?

– იცით... ეს არ...

– პროფესორო!

– ეს თემა არ არის...

– პროფესორო!

პროფესორი მარტინი ათრთოლებული ხელებით ათამაშებდა გაცრეცილ ბროშურას, რომელზეც გაკრული ხელით ეწერა:

„მე შენ გეტყვო ყოველთვის!“ პროფესორმა ნიბუხი აიღო და გააბოღა... როგორც მისი ცხოვრება, პროფესორიც კვამლსა და ბურუსში გაეხვია... დანაოტებული თვალები ოდნავ მოხუჭა და მხოლოდ ერთი წვეთი ცრემლი ჩამოუვარდა თამბაქოს წვევისაგან გაყვითლებულ წვერზე... არ უნდოდა ეტირა, მაგრამ ბოღმა მოსწოლოდა და ახრჩობდა...

მეტის გაძლება აღარ შეეძლო. ხმამაღლა აქვითინდა მოხუცი მარტინი უძლური ხმით, ჩრჩილისაგან შეტყმული ქუდი მოიხადა, ხელი მაგრად მოუჭირა და სიმწრისგან მაგიდას ურტყამდა... თვალს არ აცილებდა ბროშურას... ვინ იცის კიდევ რა ეწერა?!... და მაინც მოსთქვამდა პროფესორი... მოსთქვამდა ერთადერთ სიყვარულს.

– უფალო შეგვიწყალო!

– პროფესორო!

– უფალო მომიტყეე!

– პროფესორო, კარზე კაკუნა!

სამარისებური სიხუმე ჩამოვარდა... ამ სიხუმეში დაძველებული კარის ჭრიალი გაისმა... კარში გამოჩნდა ძაძუში გახვეული ქალი... მისი თეთრი სახე სპეტაკ ყვავილს ჰგავდა, უცხოობაში ამოსულს... პროფესორი მარტინი მუხლის ჩოქებზე დაეცა:

– მადლობა, უფალო, ის ცოცხალია, იხვიე კაცთა მოღვაძე! უფალი ჩვენთანაა... მადლობა უფალო!

უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულენი

ისევ საქართველოს სამსახურში

სისხლითა და ომებით მოკრძალებულმა ქვეყნის თავისუფლებამ, ქვეყნის სიღმრთელობამ 90-იან და შემდგომ წლებში უამრავი ქართველი ნიჭიერი ახალგაზრდა ემიგრანტად აძცია. ისინი დღეს ჩამოყალიბებული პროფესიონალები არიან, რომლებიც თავიანთი ნიჭიერებითა და ბონეობით ქართულ ფენომენს აცნობენ კლანტის სხვადასხვა ხალხებს. ერთ-ერთ მათგანთან შეხვედრას ბთავაზობთ.

როცა მის დახასიათებას, მის უკვე გავლილ ამ პატარა, მაგრამ უკვე ცნობილ ცხოვრებაზე დაიწყო საუბარს, უბრალოდ, ტრაფარეტულად ვერ იტყვი – დაიბადა ერთ ჩვეულებრივ ქართულ ოჯახში. ოჯახი, რომელშიც ჩვენი გაზრდის დღეებდელი ნომრის სტუმარი დაიბადა, მართლაც რომ ჭეშმარიტად ქართული ტრადიციებისა და მართლმადიდებლური მრწამსის მქონეა. დიახ, საგარეოელი ნიკო ლასურაშვილი იმ პაპის (კოლა) სახელს ატარებს, რომელსაც საგარეოელები და არა მარტო ისინი, დიდი პატივისცემით იხსენიებენ. ორი სათნო ბუბის – ქალბატონების ნინო დურგლიშვილისა და გულგოცირიძის გაზრდილი და დამოძღვრილი მართლაც რომ კაცობრივად გულისხმიერ, კომუნიკაბელური და ყურადღებიანი... მშობლებს – თამარ გოცირიძესა და სოსო ლასურაშვილს კი ყველა თაობის საგარეოელი კარგად იცნობს. ქნი თამარი საგარეოელებისათვის დღესაც ეტალ-

ონია ქართველქალობის, სიკეთის, სიღამახისა და ნიჭიერების. მამის მეგობრებთან ურთიერთობამ ნიკოს ბავშობიდანვე კარგად გააცნო ქართული ცხოვრების წესი... საგარეოელს I საშუალო სკოლის სრული კურსი ოქროს მედალზე 1984 წელს დაასრულა. სწავლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე განაგრძო. მეორე კურსზე სწავლისას სამხედრო-სავადღებულო სამსახურში გაიწვიეს. მსახურობდა გერმანიის საზღვართან, ქალაქ პოტსდამთან. ინსტიტუტის დამთავრება 1993 წელს მოუწია და სწორედ აქედან იწყება ის სირთულეები მის ცხოვრებაში, რაც საქართველოს მაშინდელი ახალგაზრდა თაობის 99%-ს ჰქონდა – უმუშევრობა, უხელფასობა. პრაქტიკულად 1998 წლამდე ექიმი-ქირურგი უმუშევარი იყო. მართალია ამ პერიოდში მოასწრო ვიწრო სპეციალობით – ყელ-ყურ-ცხვირის (ოტორინოლარინგოლოგი) დარგში კვალიფიკაცია. შემდეგ იყო სოფელ კაჭრეთში პრაქტიკული საქმიანობა. იყო ძიების გზები, დამღლევი, მაგრამ ამ გზებმა ნიკო ლასურაშვილი გერმანიაში ჩაიყვანა. ქ. დრეზდენის ცნობილ საუნივერსიტეტო კლინიკა „დრეზდენში“ ერთი წლის განმავლობაში სტუმარი-ექიმის სტატუსით იყო. იცოდა ინგლისური ენა და სწავლობდა გერმანულს. ამ ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა სამედიცინო თემებზე, მაგრამ პაციენტებთან პრაქტიკული ურთიერთობის უფლება ჯერ კიდევ არ ჰქონდა. 2001 წლიდან გაიარა ექიმთა დახელოვნების ხუთწლიანი კურსი. სწორედ აქ გამოვლინდა მისი ნიჭიერება, შრომის-მოყვარეობა, უნარი სიძნელეებთან კახური სიდიდითა და მოთმინებით შეჭიდებისა.

და თავისი სიტყვაც თქვა – გერმანულ ექიმთა სისტემაში საგარეოელი ნიკო ლასურაშვილი საქართველოდან პირველი მერცხალი აღმოჩნდა სერტიფიცირებული ექიმი – ოტორინოლარინგოლოგი. იმ დიდი იმ კლინიკიდან აღარსად გაუშვიათ – გარდა იმისა, რომ ნიკო ექიმს აღნიშნულ კლინიკაში პაციენტები ჰყავს, ამავე დროს კოხელობს ლექციებს – პრაქტიკოს ექიმებთან აქალებს ახალგაზრდა თაობებს... ცხოვრობს გერმანიაში, ჰყავს მეუღლე – ბარბარა, პროფესიით ექიმი-ანსთეზიოლოგი და 10 წლის ნინო. ტკივილამდე ენატრება ნიკოს საქართველო, ქვეყანა, რომელიც მისთვის ერთადერთი და განუყოფელია. საქრთაშორისო სერტიფიკატის მფლობელ პრაქტიკოს ექიმს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყნის წამყვან კლინიკებში მუშაობის შანსი აქვს, მაგრამ მას საქართველო აინტერესებს. აქაური ახალგაზრდების დაოსტატება მედიცინის იმ დარგში, რომლითაც ყოფილი საქბოეთის სიერცეში თითქმის ყველა ქვეყანა დაინტერესებული და შანსაც არ უშუებენ – დიდი ინტერესით ადევნებენ თვალყურს მის საქართველოში ჩამოსვლას თავად რუსებიც და უკრაინელებიც. მიწვევებიც ჰქონდა მოსკოვის, კიევის წამყვან კლინიკებში და ახლაც აქვს. დიახ, აინტერესებთ ენდოსკოპიური ქირურგია, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, სასმენი აპარატის რეპლანტაცია, თავის ქალის ენდოსკოპია... მართალია მიწვევა აქვს მოსკოვის ყელ-ყურ-ცხვირის წამყვან კლინიკაში ქირურგიული კურსის ჩასატარებლად, მაგრამ სექტემბერში ჯერ თბილისში ჩამოვა. წელიწადში ორჯერ აქ ჩამოსვლით მცირედლობა, მაგრამ რაღაცნაირად მინც იკმაყოფილებს საქართველოს მონატრების სურ-

ვილს და დიდი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა მედიკოსების დაოსტატებაში. აქ მიიმე, ურთულესი ოპერაციების ჩატარება უხდება, ამიტომაც რწმენით, იმდელი ელოდებიან პაციენტები. გერმანიაში კი სამედიცინო ხანით საინტერესო, როულ პრობლემატურ კვლევაზე – შუა ყურის მექანიკისა და მის იმპლანტაციის საკითხებზე მუშაობს. მისი მიზანი, სურვილი, ფიქრი და ოცნებაა ქართული მედიცინის მომსახურება როგორმე მიუახლოვდეს ევროპული მედიცინის მომსახურებას. ამიტომაც ამ საქმეში თვითონაც თითო აგურს დებს დიდი რუდუნებით, ენთუზიაზმით, მონდობებით და სიყვარულით... სექტემბერში თბილისში ელოდება რიგი პაციენტებისა როული ოპერაციებისათვის, ჯგუფი ახალგაზრდა ექიმებისა კვალიფიკაციის ასამაღლებლად. გერმანიაში კი დაელოდება მეუღლე, რომელსაც ძალიან მოსწონს ქართული ტრადიციები, ჩარჩოებს მიღმა დარჩენილი ურთიერთობები, ქართული სტუმართმოყვარეობა, გულდიაობა და ფოლკლორი. 10 წლის ნინოს ენატრება და აოცებს ყველაფერი ქართული, უყვართ ქართული ბები და პაპა და მიუღი ნათესაობა. მართალია, ივლისში გააცილეს მშობლებმა თავისი ოჯახით, მაგრამ დიდა მონატრება შეიღისა, ტკივილამდე სისარულით ელოდებიან სექტემბრის მოსვლას, შეიღის ჩამოსვლას, რომელიც ორი კვირის განმავლობაში ორჯერ-სამჯერ თუ ნახავენ მოუცლელობის გამო, მაგრამ იცინა, რომ ნიკო აქ და ყველგან, სადაც არ უნდა იყოს, თავისი ნიჭისა და უნარის, შესაძლებლობების სრულყოფილ რეალიზებას დიდი სიყვარულით მოახდენს

თინა ილაური
P.S. გვეძლევა შესაძლებლობა და მოგვიანებით, მაგრამ... მრევლის სახელით მადლობას გიხდით ნიკო ექიმო ჩვენი მოძღვრის – გიორგიწინდის ღვთისმშობლის შობის კელესის მღვდელი გიორგის (პაელოვი) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის შესარჩუნებისათვის.

ობილი და ცხელი სეზონის დაწყებისთანავე საგარეოელოში, ისევე როგორც საქართველოში, აქტიური ხდება ტრანსმისიური დაავადებები. გლობალურმა დაბობობამ და მიგრაციულმა პროცესებმა მწერების გააქტიურებას შეუწყო ხელი. შესაბამისად მოიმატა ტრანსმისიური დაავადებების გავრცელების რისკმა. ეს დაავადებებია: მალარია, ლეიშმანიოზი, სხვადასხვა სახის არბოვირუსული ცხელებები, ციმბირის წყლული (იშვიათად) და სხვა. ნაკებნმა შეიძლება გამოიწვიოს როგორც ადგილობრივი დაზიანება შეშუპება, ტკივილი, შეწითლება, ასევე ზოგადი მოვლენები – ტემპერატურის მატება, შინაგანი ორგანოების დაზიანება. მწერის კბენის შემდგომი ქავილი ორგანიზმის ადგილობრივი საპასუხო ალერგიული რეაქციაა იმ ნივთიერების მიმართ, რომელსაც მწერი კბენისას სხეულში ნერწყვთან ერთად უშვებს. ქავილმა შესაძლოა თავი იჩინოს როგორც კბენისთანავე, ისე რამდენიმე საათის შემდეგ. მწერის სახეობის მიხედვით, ის შესაძლოა იყოს როგორც ადგილობრივი, ისე გენერალურხეული – მიუღი სხეულის მომცველი. მწერების უმრავლესობის ნაკბენი ადგილობრივ რეაქციებს იწვევს, თუმცა ფუტურის, მწუხელას, კრაზანას, ბუხანკალისა და მორიელის კბენის შემდეგ ხშირად ვითარდება ზოგადალერგიული რეაქცია, რაც იმ ტოქსინის აუტანლობის ბრალია, რომელსაც მწერი ორგანიზმში კბენისას უშვებს. ადგილობრივი ალერგიული რეაქციის დროს შუპდება და წითლდება ნაკბენი ადგილი. თავს იჩენს წვა და ქავილი. ეს სიმპტომები რამდენიმე საათს გრძელდება, შესაძლოა 24 საათზე მეტ ხანსაც კი გასტანოს. ზოგადი ალერგიული რეაქციის დროს ადგილობრივი მოვლენების პარალელურად აღინიშნება ადგუნება, გაფანტული გამონაყარი, ტემპერატურის მომატება, ზოგჯერ ლიმფური კვანძების გადიდებაც. ზოგადი რეაქციის ყველაზე მიიმე გამოვლინებაა, ანაფილაქსიური შოკი. ალერგიულ ადამიანებს იგი ფესხასხრიანთა ტოქსინის მიმართ უვითარდებათ და სამედიცინო დახმარების დაგვიანების შემთხვევაში სიცოცხლეს რეალურ საფრთხეს უქმნის. მალარიას იწვევს პლაზმოდირუმი,

გაფხული და რვე

ტრანსმისიური დაავადებები

რომელსაც ავადმყოფი ადამიანიდან ჯანმრთელზე კბენის შედეგად გადააქვთ ანოფელისის გვარის კოლოებს და რომლის გავრცელების არეალს წარმოადგენს მთელი რაიონი ფაქტიურად. დაავადების დროს ზიანდება ღვიძლი, ელენთა, ვითარდება ანემია. არსებობს მისი ყველაზე მიიმე ფორმა – ტროპიკული მალარია. ის ხშირად ლეტალობით მთავრდება. შემოტანა შესაძლებელია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. კოლოს კბენით გადადის ღუნგეს ცხელებაც. ტკიპები შეიძლება გახდეს მიხეზი ყირიმის ცხელების და ა.შ. რამდენიმე წლის წინ საგარეოელოში დაფიქსირდა შემოტანილი სამდღიანი მალარიის შემთხვევები. ამჟამად დაავადება ლიკვიდირებულია. მალარიის წინააღმდეგ ბრძოლა მიმართულია უშუალოდ ანოფელისის გვარის კოლოების წინააღმდეგ, როგორც ზრდასრული ფორმის, ისე წვლის ფაზებთან დაკავშირებით. წყალსატევებში ხდება თევზ გამშუზის გავრცელება, რომელიც იკვებება კოლოს მატლებით და ჭუპრებით. ტარდება ჰიდროტექნიკური სამუშაოები – წყალსატევების გაწმენდა-დაშრობა. მოსახლეობამ თავი უნდა დაიცვას კოლოს კბენიგან ინდივიდუალურად. საღამოთი მინც ატარონ გრძელსახელოებიანი სამოსი, აბანდონ ფანჯრები, გამოიყენონ სხვადასხვა სახის რეპელენტები, ანუ დამაფრთხობლები, თუ არ აღენიშნებათ ოჯახის წევრებს ალერგია. ოჯახში წყლიანი კასრები ან სხვა ჭურჭელი უნდა იყოს თავდასურული ან დაიცავოს. ბოლო წლებში აქტიურდება დაავადება ლეიშმანიოზი. დაავადებული ცხოველიდან ან ადამიანიდან მისი გადატანა დაკავშირებულია ლეიშმანიების გადაცემასთან, რომელსაც ახორციელებენ პატარა, პეპელას მსგავსი ფორმის ფლებოტომუსები. ისინი აავადებენ ჯანსად ცხოველებს ან ადამიანებს სისხლის წოვის დროს. მწერები აქტიურდებიან ივნის-ივლისში. ნაკბენი

არის მწარე. შეიძლება განვითარდეს როგორც კანის ფორმა, რომლის წყაროს წარმოადგენს მანვი, ასევე ვისცერული ფორმა, რომლის რეზერვუარებია ძაღლისებრთა ოჯახის წევრები: ძაღლი, მელა. ამ დროს ზიანდება ღვიძლი, ელენთა, ვითარდება მალადი ტემპერატურა. ფლებოტომუსების შემთხვევაშიც საჭიროა ფანჯრების აბანდვა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების მაქსიმალურად გატანა, რადგან ეს მწერები ორგანულ ნარჩენებში იჩეკებიან. ის პირები, ვისაც უხდებათ ტყეში წასვლა გარკვეული მიზნებისათვის – მონადირეები და სხვა, უნდა მოერიდონ ცხოველთა სორუებს, ფრინველთა ბუდეებს, გამოქვაბულებს, ვინაიდან იქ შეიძლება ბინადრობდეს დაავადებული ფლებოტომუსი, ასევე მონადირე ძაღლებიც. ფესხასხრიანთა უმრავლესობის კბენის შემდეგ სახეობით საკმარისია შინ აღმოჩენილი პირველადი დახმარება. უპირველეს ყოვლისა, გახსოვდეთ, რომ თუ ფუტკრები ან კრაზანები გარს შემოგვრტყნენ, არ აფორიაქდეთ. თუ ტანზე დაგაჯდათ, ხელის მსუბუქი აქნევით მოცილდეთ და მშვიდად დატოვდეთ მათი ადგილსამყოფელი. თუ ფუტკრამ მინც ვიკბინათ, ნუ ცვდებით მისი ნესტრის თვითნებურად მოცილებას ბასრპირიანი პინცეტით – შესაძლოა ხორთუმის ნაწილი კანში დარჩეს და ამგვარად შხამის გავრცელებასაც კი შეუწყოთ ხელი. ვიკვრით ვინმე დახმარდეთ, ნაკბენზე საირტში ან ზეთუნში დასველებული ბამბის ტამპონი დაიდეთ, რათა ხორთუმი თავისთავად მოსცილდეს კანს. ხორთუმის მოცილების შემდეგ ნაკბენი ადგილი საწით უნდა ჩამოიბანოთ. არაფრით არ შეიძლება ტკიპის ხელით მოძრობაც, რადგან მისი ხორთუმი კანში რჩება და შესაძლოა ინფექციის კარიბჭედ იქცეს. ტკიპები 1-2 კვირა სახლობენ ადამიანის სხეულზე. თავიანთი სამყოფი სისხლის ამწოვის შემდეგ თავისით სცილდებიან. თუ ტკიპა ძალიან გაღიზიანებთ და მისი მოცილება გსურთ,

ზემოდან დაადეთ სპირტში ან ზეთუნის ზეთში დასველებული ბამბის ტამპონი და დაახლოებით 1 საათს გააჩერეთ. ტკიპას საწოვარი აპარატი დაეხშობა, მოდუნდება და თავად მოძვრება. ნებისმიერი მწერის კბენისას ნაკბენ ადგილზე დაიდეთ ვინწული ან ფიზიოლოგიურ ხსნარში დასველებული ცივი საფენი, რომელიც პერიოდულად უნდა იცვალოთ. ეს დაგვიანებთ ტკივილსა და შეშუპებასაც დააცხრობს. ნაკბენთა შემტეგობა ძლიერ მტკიანაა. ქავილის დასაამებლად შეგიძლიათ ნაკბენზე საჭმელი სოდის წყალხსნარში დასველებული საფენი დაიდეთ. ნუ გახეთქავთ ნაკბენის ადგილას გაჩენილ სითხიან ბუშტუკებს. მიმართეთ ექიმს, თუ კბენის შემდგომი სიმპტომები და დისკომფორტი რამდენიმე დღის შემდეგაც გაწუხებთ. ნაკბენი ადგილის ტკივილი, შეშუპება და სიწითლე შესაძლოა ინფექციური პროცესის მაუწყებელი იყოს. სპეციალისტთან დაუყოვნებელი ვიზიტია საჭირო მაშინაც, თუ შეამჩნევთ, რომ სუნთქვა ან ყლაპვა გავიძნელდათ, თავბრუ გესხმთ. ჩვეულებრივ ადამიანს 500 მწერის ნაკბენის ატანა შეუძლია, მაგრამ მომატებული მგრძობელობის მქონე ორგანიზმისთვის 1 ნაკბენიც კი შესაძლოა საბედისწერო აღმოჩნდეს. ამიტომ, თუ ადამიანი ალერგიულია, ნუ დაელოდებით ორგანიზმის რეაქციას, მაშინვე მივით ანტიბიოსტიკული პრეპარატის 1 აბი და გადაიყვანეთ საავადმყოფოში. სწრაფი პოსპიტალიზაციაა საჭირო მრავლობითი ნაკბენის დროსაც, როცა ადამიანს თავბრუ ეხვევა, თავი სტკოვა, აღებინებს, ამოკნებს და სხეულის ტემპერატურა უწევს. ყველაფერს კი მინც თავდაცვა სჯობს. ერთდეთ მწერების ბუდეებს და სორებს, მათ ადგილსამყოფელთან სიახლოვისას ნუ ნაიცვამთ მკვეთრ ფერებთან ტანსაცმელს, ნურც ტკბილი არომატის მქონე სუნამოებს იპკურებთ. პიკნიკებსა და ექსკურსიებზე მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. ხორთუმიან მწერებს ძლიერ უყვართ ტკბილი საკვები და უდაკოპოლო სასმელი.

ლალი ბარამაშვილი,
საგარეოელოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ინტომოლოგი

ბიჭვავჭი!

საქართველოს ბანათლების სამინისტროს
ხარისხის ბანვითარების ეროვნული
ცენტრის მიერ



აპროფიციაციული
სახელმწიფოს მიერ აკრედიტებული
ილია ილიასაგაიოს სასკოლოს ქ. საგარეჯოს საბანათლე-
ლო დანსაგაიო

აცხადებს საბაზო და საშუალო ბანათლების
მომენ აბიტიურიენტთა მიღებას 2013-2014 სასწავლო
წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბულალტერი – III საფეხური
2. ექონის თანა შემწე – III საფეხური
3. ოფისის მენეჯერი – II და III საფეხური
4. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი – III საფეხური

სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს მიენიჭება შესა-
ბამისი კვალიფიკაცია და ბაიცემა

სახელმწიფო პროფესიული დიპლომი

სწავლის დირებულება წელიწადში – 800 ლარი

სტუდენტი ვაშებისათვის სწავლის პერიოდში ბანსორციელებდა
ბადაგადასა სამხმარო სამსახურიდან.

სასწავლებლებში მიმდინარეობს პროფესიული მომზადებისა
და ბადაგადასის კურსები:

1. მოქმედ ბულალტერთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების კურსე-
ბი „ORIS“-ის კომპიუტერული პროგრამით – სერტიფიკატით – 250 ლარი.
2. კომპიუტერის ოპერატორის მომზადების კურსი საოფისე პროგრამებით –
სერტიფიკატით – 150 ლარი.
3. აბიტიურიენტთა მომზადების კურსები ეროვნული გამოცდებისათვის. 1 სა-
განი თვეში 80-100 ლარი გარანტიით
4. ინგლისური ენის შესწავლა გაძლიერებული კომპიუტერული კურსით –
სერტიფიკატით – 350 ლარი

საბანათლელო დაწმებულება არაფორმალური პროფესიული
ბანათლების ებიღით ბთავაზობთ სწავლას შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბანკის ოპერატორი
2. გიდი
3. ბაგა-ბადის აღმზრდელი
- 4/ დაცვა და პატრულირება
5. მასაჟისტი
6. ფარმაცია
7. კრემინალისტიკა

კურსის დასრულების შემდეგ ბანიბაა შესაბამისსაბანათლელო ბოღის
დაბადსტუბრებში სპეციალიზირებული მომსახურე და საბითაუბრისო ბენეზი

სწავლის დირებულება წელიწადში – 400 ლარი

დაწმბრილებითი ინფორმაციისათვის მომზმბართთ: ქ. საგარეჯო, ბ. ლ-
ბონიძის ქ. №33ა (კომისარიატთან)

ტელეფონები: (0 351) 24-24-36; 555-513-228; 598-650-849
www.iliaedu.ge, E-mail: iliasagarejo@gmail.com



მილოცვა



თინათინ
მიზმბრიშვილს!
დაბადების დღეს
ველოცავთ საგარე-
ჯოს მუნიცი-
პალიტეტის კულ-
ტურის სფეროს
ამაგდარსა და დიდ
გულ შემბატკივარს,
ქართული ფოლკ-

ლორის დიდ თაყვანისმცემელსა და მო-
მავალი თაობის ქორეოგრაფიული საიდ-
უმლოებებისა და სინატის ლამაზად
მაზიარებელს, საგარეჯოელთა გვერდში
მდგომსა და ყველასათვის უღალატო
მეგობარს, **საგარეჯოს კულტურის სახლის
მენეჯერს თინათინ მიზმბრიშვილს**. სულ
ასეთი ხალისიანი, ლამაზი და მშენიერი
გამყოფოს უფალმა. გაიხარე შენს დიდ
ოჯახთან ერთად. გვიყვარხარ!

ბაზეთ „გარემოს მაცნეს“
რედაქციი

22 წელია საგარეჯოელი პატარების
ფეხბურთში დაკვლიანების საქმეს დიდი
სიყვარულით ემსახურება **ზოზა მისურბამ**,
რომელსაც 50 წელი ახლახანს შეუსრულ-
და.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საფეხ-
ბურთო კლუბ „გარეჯის“ 2000-წლიანთა
გუნდის მწვრთნელს დაბადების დღეს

ქართული ქილოა საგარეჯოში

17 აგვისტოს საგარეჯოს მხარეთმცოდნეო-
ბის მუზეუმის ეზოში არსებულ დია საჭიდაო
არენაზე ჩატარდა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში,
რომლის ინიციატორებიც იყვნენ აიპ „საგარე-
ჯოს სპორტული გაერთიანება“ და მასში შემ-
ვალი ჭიდაობის სპეციალისტები.

ჩემპიონატი მიზნად ქართული ჭიდაობის
პოპულარიზაციას ისახავდა და 10 წონით
კატეგორიაში ჩატარდა. ჩვენი მუნიციპალიტე-
ტის ტერიტორიული ორგანოების გარდა, მასში
მონაწილეობას იღებდნენ: გურჯაანის, მარტყო-
ფის და თბილისის ამ სტილის 150 მოჭიდავე-
ტურნირი ქართული ჭიდაობის საგარეჯოელი
ყოფილი მოჭიდავის, აწ განსვენებული ოსებ
მარხვაშვილის სახელობის გახლდათ და მთა-
ვარი მსაჯის რანგში სჯიდა მისი ვაჟი გია მარ-
ვაშვილი.

ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: გიორ-
გი მარხვაშვილი (საგარეჯო, 20 კგ);

25 კგ.: გიგი ლოლაძე (დიდი ჩაილური, I ად-
გილი); გიგი ხოსიტაშვილი (გიორგიშინდა II
ადგილი), III ადგილები: გიგა მსურაშვილი და
გიორგი ზუკაკიშვილი (ორივე საგარეჯო);

30 კგ.: მინდია ბაბაკიშვილი (I ადგილი,
საგარეჯო) ალექსი ზუკაკიშვილი (II ადგილი,
პატარძელი), III ადგილები: ზუკა კველიშვილი
და სოსო გიქორაშვილი (ორივე გიორგიშინდა);

35 კგ. სანდრო სამაშვილი (I ადგილი, მარტყო-
ფი), გიგა ჭინჭარაული (II ადგილი საგარეჯო),
III ადგილები: ლაშა მღებრიშვილი და რინ
ყორღანაშვილი (ორივე საგარეჯო);

ქართო პაპო

ემღმნება მთო პაპაუაშვილის ხსოვნას

ეს ცხოვრება ხანმოკლეა. ადამიანი ემევე
ამ ტკივილს, რასაც ახლობლების და ძვირფა-
სი ადამიანების დაკარგვით განიცდის. ყველა
სიკვდილისათვის ვართ განწირულნი, მაგრამ
მთავარი ისაა, რას დატოვებ ამქვეყნად. ადამიანე-
ბი მიდიან, მაგრამ ტოვებენ იმ ლამაზ და დაუე-
წიარ მოგონებებს, რომლითაც ისინი უკვდავნი
არიან ჩვენს გულებსა და მოგონებებში. მე მინდა,
რომ ჩემთვის მართლაც და უძვირფასესი ადამი-
ანის, ქეთო ბებოს შესახებ მოგიყვეთ. იგი მუდამ
იცოცხლებს ჩემს ფიქრებში და მუდამ ისეთი
ძვირფასი იქნება, როგორც სიცოცხლეში იყო.

ყველას უყვარდა, ყველა პატივს სცემდა, ყვე-
ლას აკვირებდა მისი უსაზღვრო გულკეთილობა
და უამრავი სხვა დადებითი თვისება. იგი ბუნების
მოყვარული ადამიანი იყო. უყვარდა ბუნება და
ყველა მათი ბინადარი. ცდილობდა არავისთვის
არაფერი ეწვეინებინა და ამის გამოც სცემდნენ
პატივს. იგი ჩემთვის დაც იყო, მეგობარიც დე-
დაც და ბებოც. მასთან თავს იმდენად კარგად
ვგრძნობდი, რომ სულ მასთან ყოფნა მინდოდა.
მოუხედავად იმისა, რომ მაშინ ძალიან პატარა
იყავი, მისი თითოეული საქციელი და მოქმედება
ჩემში უზომო გაკვირვებას და აღფრთოვანებას
იწვევდა. მინდოდა, მისნაირი ადამიანი ყოფილი-
ყოი და ამიტომაც ყველაფერში მას ვბაძავდი.
კარგად მახსოვს, როგორ მიყვებოდა მელაკუდას
ზღაპარს, რომელიც მართლა მიყვარდა. მასთან
დაკავშირებით ასევე კარგად მახსოვს ერთი

ულოცავს მისი აღზრდილები და თანამო-
საქმენი.

ხანგრძლივ სიცოცხლეს და წარმატე-
ბულ სამწვრთნელო საქმიანობას ვუ-
სურვებთ რაიონის ფეხბურთის წინაშე
დამსახურებულ ადამიანს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
მზმბრთელები და მწვრთნელები

45 კგ.: ამირან დარბაისელი (I ადგილი,
საგარეჯო), გუგა მღებრიშვილი (II ადგილი,
საგარეჯო), III ადგილები: გიორგი ჯამასიშვი-
ლი (მარტყოფი) და ლევან ხაბარელი (საგარე-
ჯო);

55 კგ.: გოგიტა მღებრიშვილი (I ადგილი,
მხისგული), თორნიკე ნიტიძე (II ადგილი, თოხ-
ლიაური), II ადგილები: ტატო პაპუნაძე და და-
ვით დარბაისელი (ორივე საგარეჯო);

60 კგ.: ლაშა მათიაშვილი (I ადგილი, საგარე-
ჯო), ლაშა ხარატიძე (II ადგილი, საგარეჯო);

66 კგ.: ზაზა როსტომაშვილი (I ადგილი,
საგარეჯო), გიორგი დიდუბაშვილი (II ადგილი,
თბილისი);

73 კგ.: სიმონ მამარდაშვილი (I ადგილი,
საგარეჯო), კობა მჭედლიშვილი (II ადგილი, კა-
ბუთი), III ადგილები ლევან მჭედარიძე (საგარე-
ჯო) და ოთარ კაციაშვილი (მანავი);

ახლოდურთო ფალავნობა: I ადგილი – ზურ-
აბ ტოპეშაშვილი (ნინოწმინდა), II ადგილი –
ზაურ მამარდაშვილი (საგარეჯო), III ადგილები
ოთარ გურგენიძე (საგარეჯო) და გიორგი ობო-
ლაშვილი (მხისგული).

ჩემპიონატში ოსებ მარხვაშვილის სახელო-
ბის თასი გადაეცა 20 კგ წონით კატეგორიაში
გამარჯვებულ გიორგი მარხვაშვილს.

ახლოდურთო ფალავან ზურაბ ტოპეშაშვილს
გადაეცა დაწმებული ჯილდო – ჭედილა.

სხვა წონით კატეგორიებში გამარჯვებულ
და საპრიზო ადგილებზე გასულ მოჭიდავეებს
გადაეცათ შესაბამისი სივლეები, მედლები და
საჩუქრები.

ბიზი ლაბახიშვილი

არიან ადამიანები, რომელთა ხსოვნა წა-
რუშულად რჩება მათთვის არასისხლისმიერი
– ნაცნობების, მეზობლების, მეგობრების გულ-
ში. ერთ-ერთი ასეთი ხსოვნა მასწავლებლისგან
მიცემულ დაგალებში თავისუფლ თემად შეას-
რულა ამ პატარა მოგონების ავტორმა.



პატარა ისტორია,
რომელიც ასეთია:
ერთ ჩვენს მეზო-
ბელს ოფოფისთვის
ფეხი ეტკინა და
კატასთან მიჰყვდა,
უნდა ვანხურო. მე
ამის გაგებაზე ძა-
ლიან გაგებრაზდი.
იმ დროს ქეთო
ბებოც ჩემს გვერ-
დით იყო. ეს რომ
გაიგო, იმ ბიჭს
ოფოფი მაშინვე გა-
მორთვა და თავის
შეცდომაც მიახეუ-

დრა. ოფოფი მაშინვე სახლში შეიყვანა, იფიქრა,
მოვარჩენ და მერე ისე გაგუშვებო. ორივე ერ-
თად ვუვლიდით საბრალო ფრინველს და მალე
გაფრინდა კიდევ.

ქეთო ბებოსთან გატარებული ყოველი დღე
ლამაზი და დაუეწიარია ჩემთვის, მაგრამ მინდა,
რომ ერთი დღის შესახებ თქვენც მოგიყვეთ.

დღესაც მე და ქეთო ბებო, როგორც ყოველთ-
ვის, ერთად ვთამაშობთ. ის მიყვება ჩემს საყვარ-
ელ მელაკუდას ზღაპარს. მეც დიდი ყურადღე-
ბით ვუსმენ და ვცდილობ ყველაფერი თვალწინ
დამიდგეს. მელაკუდას ზღაპრის დამთავრების
შემდეგ გარეთ გავედი და კაკლის ჩრდილში
დავსხვდი. აქ მუდამ გრილა და კარგი პაე-
რია. ამ დროს მესურათემ დაიბახა და ქეთო
ბებოს სურათის გადაღება შესთავაზა. ქეთო ბე-
ბიაც დათანხმდა. მე მაშინვე სახლში გაიქცევი,
ლამაზად ჩავიცვი და თავზე პეკელი დავიცივი.
როდესაც ქეთო ბებოსთან გავედი, ისიც გამზა-
დებული იყო, კალთაში ჩამისვა, ხელი მომხვია
და სურათიც გადავიღეთ. ეს სურათი ყოველთ-
ვის მონატრების ცრემლებს მყენებს თვლებზე
და დიდი სიყვარულით მახსენდება ყოველივე.

მკა კუპატაძე,
კაკბეთის საგარო სკოლის XIIა კლასის
მოსწავლე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacnel@hotmail.com

